ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერია
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება:**ბ76. 76240442**
თარიღი:**13/02/2024**

საქართველო ქალაქი ამბროლაური

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლების საერთო კრებების ინიცირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „ე.ი“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა“ ქვეპუნქტის, 85^3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „თ“ ქვეპუნქტების, 85^4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-13 და მე-15 პუნქტების და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების პირველი მუხლის მე-6 და მე-7 ქვეპუნქტების და ამავე დადგენილების მე- 2 მუხლის, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 თებერვლის N36 დადგენილებით დამტკიცებული ,,ამბროლაურის მუნიციპალიტეტის დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 09/02/2024წ. N77-7724040001 წერილის, ადმინისტრაციული სამსახური-მერის წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის მოხსენებითი ბარათისა (09/02/2024წ. N 01-762404017) და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე, 54-ე მუხლების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2024 წლის 29 თებერვალს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტის შერჩევის მიზნით დასახლებებში: სოფელი ჭელიაღელე, სოფელი აგარა, სოფელი კაჩაეთი, სოფელი ხარისთვალი და სოფელი ქედისუბანი, მოწვეულ იქნას დასახლებების საერთო კრებები №1 დანართით განსაზღვრულ საათებში.

2. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 17 იანვრის N:ბ76.762401710 ბრძანებით განსაზრვრულმა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის

ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტის შერჩევის მიზნით ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მოწვეული დასახლებების საერთო კრებების ჩატარებაზე უფლებამოსილმა მესამე და მეშვიდე სამუშაო ჯგუფმა უზრუნველყონ ბრძანების პირველი პუნქტში მითითებულ სოფლებში საერთო კრებების ჩატარება დანართი №1 განსაზღვრულ თარიღებში.

3. თითოეულ დასახლებაში განსახორციელებელი პროექტისთვის ზღვრული საორიენტაციო თანხის ოდენობა განისაზღვროს №1 დანართის მიხედვით.

4. დასახლებების საერთო კრებების სხდომების დღის წესრიგი განისაზღვროს ერთი საკითხით: დასახლებაში განსახორციელებელი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტ(ებ)ის შერჩევა. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილების მეორე მუხლით განსაზღვრული ჩამონათვალის შესაბამისად.

5. ბრძანება გადაეგზავნოს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და სამუშაო ჯგუფის წევრებს.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ამბროლაური, კოსტავას ქ. N13).

7. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ზვიადი მხეიძე

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერია-
მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი